ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 24

2010 წლის 06 სექტემბერი
ქ. ნინოწმინდა

,, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ,,

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმვრთველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 27 იანვრის №1 დადგენილება ,,ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“
3. დადგენილება ძალაში შევიდეს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოქვეყნებისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვლადიმირ სტამბოლციანი**

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	**თანამდებობრივი სარგო**
	<u>ს ა კ რ ე ბ უ ლ ო</u>	
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2360.0
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1100.0
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	650.0
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	650.0
	საკრებულოს აპარატი	
5	აპარატის უფროსი	700.0
6	მთავარი სპეციალისტი	420.0
	ხელშეკრულებით	
7	მძღოლი	420.0
8	თარჯიმანი	420.0
9	ოპერატორი	420.0
10	ექსპერტი–კონსულტანტი	300.0